

29.09.2020

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პასუხისმგებლობის განაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პასუხისმგებლობის განაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესი არეგულირებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პასუხისმგებლობის განაწილებას, დელეგირებასა და ანგარიშვალდებულებას.
2. წესი ეფუძნება სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურას.

მუხლი 2. სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოები, ადმინისტრაციული პერსონალი

1. სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და მათ შორის კომპეტენციები განსაზღვრულია წესდებით
2. აკადემიური საბჭო - სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა და უფლებამოსილებები განისაზღვრება წესდებითა და აკადემიური საბჭოს დებულებით
3. წარმომადგენლობითი საბჭო - სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა და უფლებამოსილებები განისაზღვრება წესდებითა და წარმომადგენლობითი საბჭოს დებულებით
4. რექტორი არის სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, აგრეთვე აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. რექტორი წლიურ ანგარიშს წარუდგენს დასამტკიცებლად აკადემიურ საბჭოს.
5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. გარიგებებს აკადემიურ სფეროებში, თუ შეთანხმება შეეხება ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებს, ხელს აწერს რექტორთან ერთად. წლიურ ანგარიშს წარუდგენს დასამტკიცებლად წარმომადგენლობით საბჭოს და ანგარიშვალდებულია აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე.
6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე და უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის უწყვეტ და სისტემურ შეფასებაზე დაფუძნებული საკმეიანობის ხარისხს.



7. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის(ფაკულტეტის) წარმომადგენლობითი ორგანოა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის(ფაკულტეტის) საბჭო და უფლებამოსილებები განისაზღვრება წესდებითა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის(ფაკულტეტის) საბჭოს დებულებით.
8. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის(ფაკულტეტის) დეკანი არის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტის) საბჭოს ხელმძღვანელი და მისი უფლებები განისაზღვრება წესდებითა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის(ფაკულტეტის) საბჭოს დებულებით. და ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს/რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის/მართვის ორგანოების წინაშე

მუხლი 3. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორის, ასოცირებული პროფესორისგან, უფლებამოსილებები განისაზღვრება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წესითა და შრომითი ხელშეკრულებით. აკადემიური პერსონალი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოსა და რექტორის/აკადემიური საბჭოს წინაშე.

მუხლი 4. სასწავლო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალი

1. დამხმარე პერსონალი (სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები/ სპეციალიტები) -სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების/ სპეციალიტების უფლებამოსილებები, სამუშაოთა აღწერილობები, ანგარიშვალდებულება, პასუხისმგებლობა განისაზღვრება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებით, შრომითი ხელშეკრულებით, სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი წესებითა და მეთოდოლოგიებით.
2. დამხმარე პერსონალი (საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პერსონალი) - საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პერსონალის უფლებამოსილებები, სამუშაოთა აღწერილობები, ანგარიშვალდებულება, პასუხისმგებლობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით, სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი წესებითა და მეთოდოლოგიებით.
3. საქართველოს კანონმდებლობის, კანონქვემდებარე აქტებისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებების საფუძველზე რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განისაზღვრება:
 - ა) სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურად პასუხისმგებელი პირები.
 - ბ) სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორთა/პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა რეესტრზე პასუხისმგებელი პირები
 - გ) სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები
 - დ) სასწავლო უნივერსიტეტის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის გაცემაზე/შენახვაზე პასუხისმგებელი პირები



ე) სტრუქტურული ერთეულების დებულებებში სამუშაოთა აღწერილობების შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტის ცალკეული უბნების/ ტერიტორიების/ აუდიტორიების/ფართების მატერიალურდ პასუხისმგებელი პირები.
ვ) მართვის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტური გამოყენების მიზნით ითანამშრომლოს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან დაგეგმილი კვლევების (თვითშეფასების/შეფასების/კმაყოფილების კვლევის) კითხვარის შედგენისა და ჩატარების პროცესში;

მუხლი 5. ანგარიშვალდებულება და საჯაროობა

სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ მართვის ორგანოების, ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალის ანგარიშების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით

